თვითონ იჯიბადა. მეფემ რამდენჯერმე გადაწყვიტა ეს ამბავი სულთნისთვის ეცნობებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. მერე კი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა, ფაშას აცნობა, რომ ტრაპიზონს უნდა გამოგზავრებულიყო და პირად შეხვედრაში ყველაფერი პირში მიახალა, რასაც ფიქრობდა მის არაკეთილშობილურ მოპყრობაზე. ფაშამ მეფეს ვაუწყებდა — თქვენ საცხოვრებლად ჩვენს ქვეყანაში გამოყოფილია აზრუში და ნებას არ გაძლევთ სადმე გაემგზავროთ. თუ გადაწყვეტილებას შეიცვლით, საქართველოში ძალით გაგზავნით კავკასიის მთავარმართებელ ტორმასოვთან. ამასთან, ფაშამ ისევ მეგობრობა და კეთილმოსურნეობა შესთავაზა. მეფე იძულებული იყო დასთანხმებოდა ფაშას აზრუში დარჩენაზე, თუმცა თავისი გადაწყვეტილება არ გადაუფიქრებია და აი, 1812 წლის მისში, ოსმალთა ერთერთი დღესასწაულის დღეს მეფემ შესძლო მთელი ღამის ნაქვიფარ მძინარე მეთვალთვალებს გამოჰპარვოდა. ის იყო ქართველთა ჯგუფი ბაიბურთის მარხის საზღვრებს მიუახლოვდა, ფაშასგან დადევნებული რაზმიც შეიხსოთ.

მეფე მათთან შებრძოლება გადაწყვიტა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მაგრამ საბედნიეროდ ეს ბრძოლა არ შედგა. მეფის ამალას გზად შემოხვდა სტამბოლიდან მომავალი წარჩინებული ოსმალი, რომელიც ქართველ მეფეს ოსმალურად მიესალმა. სწორედ ეს კაცი გამოვლამარაკა მდევარს. — რას მიიჩქაროთ ასე სწრაფად, რა დაგემართათ? — იმერეთის მეფე გამოგვეტყვა აზრუმიდან და ფაშამ გვიბრძანა უკან დავაბრძოთ. თუ არ დაგვთანხმდა და ბრძოლა დაგვიწყობა, მის თავს მივართმევთ ჩვენს მზრძანებელს. წარჩინებულმა ოსმალომ ირონიულად გაიცინა: — ასეა ნათქვამი: „უგუნურებმა იშრომეს და ჰკვიანებმა მოიმკესო“. — როგორ? რა გნებავთ ამით გვითხრათ? — გააკვირვებს იანიჩრებმა. — თქვენ, ჩემო ძებო, გეტყობათ, ფაშის ერთგულები კი ხართ, მაგრამ სულთანს ღალატობთ. — რას ლაპარაკობთ, პირდაპირ გვითხარითო — იანიჩრების რაზმის უფროსი შეელაპარაკა. — ვთქვით, მეფე დაიჭირეთ და ფაშასგან საჩუქრები მიიღეთ. მერე რას იზამთ, ამას სულთანი რომ გაფიქრებს, პა? — იანიჩრები გაოგნებული შეკუპურებდნენ წარჩინებულ პირს. — ვერ მიხვდით? თავებს საითთოდ წავაცლით სულთნის ქალათი. იმ ქართველ მეფეს რომ მისდევთ მოსაყოფად, სულთანის სტუ-

მარი იქნება, ისე როგორ მოვიდოდა ოსმალთს. ისიც ხომ არ გავიწყდებათ მეფის ამალის ყოველი წევრი რამდენიმეს გაგისწორებდათ. ფაშა თქვენი სამუდამო მფლობელი არ არის და სულთანის რისხვისგან ვერც თავის თავის და ვერც თქვენს გადარჩენას ვერ შეძლებს. გირჩევთ, უკან დაბრუნდეთ, უბედურების ნუ გადაეყრებითო. უკან შეტრიალდნენ მღვერები. აზრუმის ფაშას თავზარი დაეცა. იმაზე დაიწყა ფიქრი, რაიმე მოეგონა იმერეთის მეფეზე, რომ სულთანი განრისხებოდა... ბაიბურთს მეფე შესანიშნავად მიიღეს თავისი ამალით, შემდეგ იყო ქალაქი გადიბხანი. გუბერნატორი, მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, სამღვდელთა, ბერძენი და ბერძენი არქიეპისკო-

პალითსო, მაგრამ როცა ქალათი სწრაფად გავარდა დარბაზიდან, სულთანმა გაუღიმა ლეონიძეს და უთხრა: — მე ახლა სამხედრო პირს გავგზავნი თქვენს მეფესთან და დიდ სინანულს გამოვთქვამ იმაზე, რაც აზრუმს გადახდა. ქალათი კი ჩემს ბრძანებას შესრულებს. ლეონიძემ შეპბედა: — თქვენი ბრძანება არ ვიცი. — აზრუში ქალათი თავს მოსკრის ემინ ფაშას. მოჭრილ თავს ჯერ ტრაპიზონში იმერეთის მეფეს მიართმევს, მერე აქ მომიტანს. შეკრთა ქართველი თავადი. ამას კი არ მოელოდა. კონსტანტინოპოლიდან აზრუში ჩასული ქალათი ფაშას სასახლეს მიადგა და გარეთ გამოსვლა უბრძანა. ფაშას მოახსენეს ქალათის მოსვლა. ფაშას კანკალი



წ. პარათაშვილის პანაშვილის ტრაპიზონში, სადაც დასაფლავებულია იმერეთის მეფე სოლომონ II.

პოსი გულბობლად შეეგებნენ ქართველებს. გადიბხანიდან მეფემ კაცი გაუგზავნა ტრაპიზონის ფაშას ოსმანხანინდარ-ოღლის, თქვენსკენ მოვემგზავრებოთ. მესამე დღეს ტრაპიზონს მიადგა. თურმე ტრაპიზონის ფაშა ოსმანხანინდარ-ოღლი ქართველ თავადთა შიამომავალი ყოფილა. მან ტრაპიზონში უცხოელი კონსულები შეკრიბა, ქალაქის მაცხოვრებლებს თავი მოუყარა და იმერეთის მეფის ტრაპიზონის მისასვლელთან ზემოთ შეეგება. აღარ იცოდა რით ეცა პატივი მეფისა და მისი თანხლები ქართველებისთვის. ყოველდღე მოდიოდნენ მეფესთან შესახვედრად ამ ქალაქის წარჩინებული პირები. მოჰქონდათ საჩუქრები და მეგობრობის იმედს აძლევდნენ. მეფესთან ცალ-ცალკე სასაუბროდ მოდიოდნენ, აგრეთვე, უცხოეთის კონსულები (გარდა რუსეთის კონსულისა). განსაკუთრებით დაუახლოვდა საფრანგეთის კონსული. უცხოეთის კონსულებმა კონსტანტინოპოლში თავიანთ ელჩებს გაუგზავნეს წერილები ქართველი მეფის ტრაპიზონში ჩამოსვლის შესახებ. და, რასაკვირველია, სულ პირველად ეს გააკეთა თვით ტრაპიზონის ფაშამ ოსმან-ხანინდარ-ოღლი. მან სულთანს ისიც მისწერა, თუ როგორ უსინდისოდ მოექცა აზრუმის ემინ ფაშა ქართველ მეფეს.

სოლომონ მეორემ სულთან მახმუდთან კონსტანტინოპოლს ელჩად გააგზავნა თავადი ივანე სოლომონის ძე ლეონიძე. ბარათი გაატანა, რომელშიც უამბო აზრუმის მტარვალ ფაშას ხელში თავდამტყდარი უბედურების შესახებ და აცნობა, თქვენს მიერ საცხოვრებლად მიჩენილი ქალაქი მხოლოდ შევიწროების მიზეზით დაეტოვებო. მაშინვე მიიღო კონსტანტინოპოლში სულთან მახმუდმა თავადი ლეონიძე. დაუყვავა, მოეფერა. მერე მეფის მიერ გამოგზავნილი ბარათი ყურადღებით გადაიკითხა. — თუცა უცბად ჩამაძალა შესძახა: — ამან ქალათი! — კარს უკან მდგომი ქალათი მის წინ გაჩნდა. სულთანმა სასწრაფოდ რაღაც დაწერა პატარა ქაღალდზე. ბეჭედი დაარტყა. თავად ლეონიძეს გული გაუსკდა. ვინ იცის რა დაავალა ახლა

აუტყუა. მერე უბრძანა თავის მცველებს, გაეგოთ რა უნდოდა ქალათს მისგან. როცა მცველები ქალათთან გამოვიდნენ, მან სულთანისგან მიცემული ბარათი აჩვენა და უბრძანა, ფაშა ძალით გამოეყვანათ სასახლიდან. უსიტყვოდ შესრულეს ბრძანება ფაშას მცველებმა, ქალათს მიუყვანეს ფაშა. ქალათმა ფაშას მარცხენა გვერდში დანა ჩაართყა. მერე კი მშვიდად, სისხლდაცილი ფაშას თავი მოაჭრა. ქალათმა გამოაცხადა: სულთანის ბრძანებით ფაშას ოჯახს ჩამოერთვა მამულები და მისი ცოლები, შვილები ყმებდ გადაეცემა სახელმწიფოს მასხაველსო. აზრუმიდან ქალათი ტრაპიზონში ჩავიდა. იმერეთის მეფის სახლთან მივიდა და მეფის ქართველ მცველებს სთხოვა, მეფე გამოსულიყო, რათა მისი მტარვალის ემინ ფაშას მოჭრილი თავი ეჩვენებინა. როცა კი მეფეს მოახსენეს, მას გული ცუდად გაუხდა და ვერ შეძლო გამოსვლა.

ქალათმა გზა განაგრძო კონსტანტინოპოლისკენ. მან სასახლეში შეუტანა სულთანს ფაშის თავი. ქალაქში დასაყდენი იქნა თავისი სახეობის წარჩინებულნი. მისი სახეობის წარჩინებულნი და ოსმალეთის სამსახურში მყოფნი ქართველები ფაშებმა, თავის მხრივ მრავალი საჩუქარი მიართვეს ლეონიძეს ტრაპიზონში მეფესთან წასაღებად. ლეონიძე კონსტანტინოპოლიდან პატარა გემით დაბრუნდა ტრაპიზონში. გემი სავეე იყო მრავალი სახის სურათით და საჩუქრებით. დიდი ხანი არ გავიდა ამის შემდეგ და მეფემ ტრაპიზონში მიიღო სულთან მახმუდისაგან ბარათი, რომელშიც ულოცავდა სამეფო ტახტის დაბრუნებას, რუსეთის ხელმწიფეს ნაპოლენ ბონაპარტი გადამეკიდა და საეჭვოა რუსეთი თავი იხსნას და ხელში არ ჩაუვარდეს ბონაპარტსო. სულთანს ურჩევდა ქართველ მეფეს, გამგზავრებულიყო ფოთში, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ აზრუმის, ტრაპიზონის და ფოთის ფაშები. ფაშებს ეკვლებოდათ შესულიყვნენ იმერეთში, განედევნათ

რუსის ჯარი და მეფე სამეფო ტახტზე დაევიდა. ამ ბარათის წაკითხვის შემდეგ მეფეს უთქვამს თავისი თანხლები ქართველებისთვის, ნეტავ რისთვის დავიბადე, თუ ღემთვის უნდა მოხდეს ასეთი უბედურება საქრისტიანო ქვეყანაში, სიცოცხლე რათ მინდაო. მაღლობის წერილი გაუგზავნა კონსტანტინოპოლში სულთან მახმუდს მზრუნველობისთვის. სთხოვა მისი წინადადების განხორციელება სამი თვით გადაედოთ ავადმყოფობის გამო, მით უმეტეს, რომ ფოთში ცუდი ჰავაა და ავადმყოფობას გაურთულებსო. მერე შეკრიბა ყველანი რჩევისათვის. რას იტყვიო, ტრაპიზონი რომ დავტოვოთ და ყირიმში წავიდეთ, შემდეგ კი პეტერბურგს გავემგზავროთ, იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძეს ვუწყოთ ჩვე-

ნი გაჭირვება. თითქოს დაეთანხმნენ ყველანი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე სამი თვეც გავიდა და ის იძულებული შეიქმნა ფოთში გამგზავრებულიყო გემით. როცა ფოთში იმერეთის მეფის ჩასვლა გაიგეს, აქ მოვიდნენ იმერეთის და სამეგრელოს თავადები, გულითადად მოიკითხეს მეფე, ზემოც გაიმართა. სწორედ ამ დროს ფოთში მოადგნენ ტრაპიზონის და აზრუმის ფაშები ჯარებით. მეფე კი ამ დროს ისევ პეტერბურგში ჩამგზავრებაზე ფიქრობდა. ამ დროს მიიღო მან იმერეთის თავდაზნაურობის წერილი, რომელშიც ისინი სთხოვდნენ, ოსმალეთის ჯარებით ნუ იფიქრებოთ იმერეთის სამეფოში დაბრუნებას.

აქ მწყვეტ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, რომელიც მის ოსმალეთში ყოფნასთან არის დაკავშირებული. ზემოთ ნაამბობში ყველაფერი ისტორიული სიბრძნულია. საქმე კი შემდეგშია. 1864 წელს ათონის მთაზე გარდაიცვალა იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დროის შესანიშნავი მოღვაწე ბერი ილარიონ ყანჩაველი, რომელიც მღვდლობაში იწოდებოდა იესედ (წარმოშობით სოფელ ალავერდის, შორაპნის მახლ). იესე დეკანოზი სოლომონ მეორის მოძღვარი ყოფილა და მეფეს ახლდა ოსმალეთში. როცა ათონის მთაზე იესე ყანჩაველი ავად გამხდარა, მას ყოველივე უამბნია თავისი მოძღვრის გაბრძოლისთვის. დანარჩენის გადაცემა ვერ დაამთავრა სიკვდილის წინ. და აი, მოძღვარმა გაბრძოლა იესეს ნაამბობი წერილობითი სახით თბილისში გამოუგზავნა ყურნალ „მწყემსის“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად, თან ასეთი ბარათი დაურთო: „რადგანაც იესე დეკანოზის სამსახური მეფესთან ნახევრად პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმეებს შეეხება, ამიტომ საჭიროდ გრგავ იმერეთის მეფის და სამეფოს საქმეები, რომელიც იმან მე, გაბრძოლს, გადმოცემა, ქვეყანას ვაცნობო“. უფროსლმა „მწყემსმა“ მოძღვარ გაბრძოლის ათონის მთიდან მოწერილი ჩანაწერი 1890 წელს მთლიანად გამოაქვეყნა. სწორედ ამის მიხედვით ვუამბებ მკითხველს იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, ოსმალეთში ყოფნის ამბავი. როგორც სჩანს, მეფე ფოთიდან უკან, ტრაპიზონში დაბრუნდა, სადაც მწყემსარებისა და სამშობლოს ნახვის სურვილით დაავადებული 1815 წლის 7 თებერვალს 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა უერთგულესმა ქართველებმა შესანიშნავი ძეგლი აღუმართეს საფლავზე. ასე დასრულდა თვალეები უცხოეთის ცის ქვეშ რუსის ჯარის მიერ სამშობლოდან განდევნილმა იმერეთის მეფემ. **მეღრა კარგალაშვილი**



ნიას მემკვიდრეებს, "შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წ. ნოემბრიდან" და სხვა.

საფრანგეთში ყოფნისას ალექსანდრე სულხანიშვილი დიდად ზრუნავდა შეფიცულთა რაზმის წევრებზე, რომელთაგან ბევრს სამუშაო არ ჰქონდა. იგი თავს ადგა და უვლიდა უკვე მიმედ ავადმყოფ ქაქუცა ჩოლოყაშვილს.

ალექსანდრე სულხანიშვილი პარიზში ტაქსიტად მუშაობდა; ნიუ-იორკში კი იანტების საუკეთესო მშენებლის სახელი დაიგდო და ცენტრალური ფულიც მოაგროვა, რომელიც მერე თავისი წიგნების გამოცემას მოახმარა. როცა ამის შეძლება ჰქონდა, სხვათაგან ბელს უმართავდა. მათ შორის, ვისთვისაც ძვირ საშუალებას გაუმართავს, რომ ლ რეიგანის გახლავთ...

ალექსანდრე სულხანიშვილის ბიოგრაფია, მისი ნაწერები, მისი მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს. მის არქივში მრავალი საინტერესო მასალაა, რომელიც ალექსანდრე სულხანიშვილს სულ სხვადასხვა წახნაგით წარმოაჩენს. დღეს მხოლოდ ერთ ასეთ წახნაგზე მინდა მოვუთხოვო მკითხველს და გუბასუხო მის დაინტერესებას, რომელიც წინა აბზაცში რეიგანის სენებამ გამოიწვია.

ალექსანდრე სულხანი — ასე შეიკვებოდა მან გვარი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის მიღების შემდეგ — რესპუბლიკელებს უჭერდა მხარს. რატომ

გამომგზავრებისას საფრანგულ ჩამაბარა.

ერთ ასეთ დოკუმენტს, რომელზეც რიგობა რეიგანის პორტრეტია გამოსახული, აქვე ვაქვეყნებთ. ეს გახლავთ მოწმობა, რომლითაც რესპუბლიკური პარტიის გენერალური თავმჯდომარე, სენატორი პოლ ლაქსალტი და რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფრენკ ჯ. ფარენკოპფ-უმცროსი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რიგობას და რესპუბლიკური პარტიის სახელით საპატიო წევრად ირჩევენ ალექსანდრე სულხანს, მაღალ შეფასებას აძლევენ რა მის გულუხვ შემოწმებას პრეზიდენტ რიგობას და რესპუბლიკური პარტიის იდეალებსა თუ პოლიტიკის უკვდავსაყოფად.

სიცოცხლის მიწურულსაც ალექსანდრე სულხანიშვილი ასეთ აქტიურ დაინტერესებას იჩენდა პოლიტიკით.

ალექსანდრე სულხანიშვილს ეპისტოლარული ურთიერთობა ამერიკის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან ამით არ ამოწურულა. სხვადასხვა დროს მას ამერიკის მესვეურთათვის გაუგზავნია მისი მეგობრის, ქართველი ემიგრანტის ვანო ნანუაშვილის ინგლისური წიგნი "რა უნდა იცოდეს თავისუფალმა მსოფლიომ რუსეთის შესახებ". ამ წიგნის გავრცელებისას მას მადლობას უთვლიან აშშ სახელმწიფო მდივანი საირუს ვენსი (1977 წლის 16 აგვისტო), პრეზიდენტის მრჩეველი სახელმწიფო უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბეჟინსკი (1977 წლის 26 ოქტომბერი), ვიცე-პრეზიდენტი უილიამ მონდელი (1977 წლის 16 ნოემბერი) და სახელმწიფო მდივანი ალექსანდერ ჰეიგი-უმცროსი (1982 წლის 30 აპრილი). ეს უკანასკნელი სიტყვა-სიტყვით ამას სწერს, კარგია, რომ მეც მარგუნეთ ეს წიგნით.

დაბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი პრეზიდენტის, მაშინ ვიცე-პრეზიდენტის 1981 წლის 11 ნოემბერს გაგზავნილი წერილი ალექსანდრე სულხანიშვილისადმი:

„კვიზასო მისტარ სულხან“

კონგრესმენმა გაი ვანდერ იაგტმა ახლახან მოგვასხენა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის კომიტეტის საქმიანობაში თქვენს მიერ შეტანილი წვლილის შესახებ. გადავწყვიტე, მომეწერა წერილი და მადლობა გადაგხადო. ჩვენი პარტიისადმი თქვენს მიერ შემოწმებული თანხისათვის მხოლოდ „მადლობა“ აღზათ არცაა ხაკობისი და გაწეული სამხარის საუკეთესო დაფახება იქნება ის, რომ თქვენი თანხა მომავალ წელს წარმომადგენელთა პალატის მუ-

შაობაზე დაწებულ კონტროლის ხაზარმოვლად გამოვიყენოთ. გაი ვანდერ იაგტთან საუბრისას შევითქვე, რომ NRCC-ი ავრცელებს ეროვნულ პროგრამას, რომელიც 1982 წლისათვის დემოკრატების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. თქვენი შემოწმებული თანხა რესპუბლიკური პარტიას ამ საქმეში მეტი წარმატების მიღწევის საშუალება გაუჩნდება.

გაი შეგპირდათ ინაუგურაციის ხახხოვარს. თქვენი შემოწმებული თანხა აღსანიშნავად, მან მთხოვა, გამოგვგზავნა ინაუგურაციის ცერემონიაზე გადაღებული დახურული ფოტო.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა რესპუბლიკური კონგრესის არჩევანში მონაწილეობის მიღებისათვის, რაც პრეზიდენტ რეიგანს თავისი გადაწყვეტილებების ხორც-შესხმის საშუალებას აძლევს.

პატივისცემით, ჯორჯ ბუში

სხვაც ბევრი საინტერესო მასალა დაცული ალექსანდრე სულხანიშვილის არქივში, რომელიც მისი სურვილის შესაბამისად დაბინავდება. სამწუხაროდ, მის გარეშე უნდა მომზადდეს გამოსაცემად მისი ნაწერები თუ ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც ბევრ შეკითხვას აღძრავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შეკითხვებზე პასუხის გამეცემა უკვე აღარაა.

ალექსანდრე სულხანიშვილი, კაცი, რომელიც ჩვენი ისტორიიდან სულ 18 დღით დაბრუნდა საქართველოში, კვლავ ისტორიაში მიეზღვრება. ამჯერად — უკვე საბუნდამოდ.

ალექსანდრე სულხანიშვილი — თვითონაც ხშირად ამბობდა — ბედნიერი კაცი იყო: იგი საქართველოსთვის აბრძოდა.

ბედნიერია იგი იმიტომაც, რომ მშობლიურ მიწაში ელარსა დაკრძალა. ბედმა ისე ინება, რომ იგი ერთადერთია 1924 წლის სახალხო აჯანყების მონაწილეთაგან, ვისაც ღირსეულ პატივს მიაგებს საქართველო.

ეს ნაჩქარვე წერილი მინდა დავამთავრო ლოზუნგით, ვნებავთ, სადღეგრძელოთი, რომელიც სულ რაღაც ორი წელიწადია ასე ხმაბლსა გაისმის საქართველოში, ალექსანდრე სულხანიშვილისათვის კი მთელი მისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სიცოცხლის არსი და მიზანი იყო:

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

პაპატა ნაცვლიშვილი,

მონორარი გადარიცხვის მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო ფონდში, რომელმაც გაიღო ალექსანდრე სულხანიშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯები.

# ისტორიდან — ისტორიაში

## ალექსანდრე სულხანიშვილი, კაცი, რომელიც ჩვენი ისტორიიდან სულ 18 დღით დაბრუნდა საქართველოში, კვლავ ისტორიაში მიაგზავრება

შეთანხმებული ვიყავით: წინა პარასკევს, დილის 11 საათზე ალექსანდრე სულხანიშვილს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა დამატებითი კომისიის წევრები უნდა მიეღო. ის იყო, მანქანებიდან გადმოვიდით, რომ სადარბაზოთაში სასწრაფოდ დახმარების მანქანა გაჩერდა. 94 წლის მოხუცის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულიყო. წინა დღეს მცხეთაში ბრძანდებოდა და, გვეგონა, ამან გადაიღო. რომ მომავრდება, მერე ვეწვევითო, კომისიის წევრებმა ყველა ვიპყროვნებდით, რომ მომავრდებოდა, დამღვედა საქართველოში დაბრუნებით გამოწვეულ ემოციურ სტრესს, მაგრამ უკურნებელმა სენმა თავისი ქნა. ბოლო რამდენიმე თვე ძალიან მიმიღო იყო, თუმცა ამერიკაში ყოფნისას, დაბრუნების იმედით ძალიან იცემული, როგორღაც ინარჩუნებდა მხნეობას, მობილიზებული ჰქონდა უკანასკნელი სულიერი ენერჯია, რომელიც მხოლოდ აქ ჩამოსაგლეჯად იყო. როდესაც თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაჯდა და გახედე, ძია საშა, რამდენი ხალხი გეგებებამეთქი, ვუთხარი, რაკი ამას მოვესწარი, ახლა თუგინდ მოგვდეო, მითხრა. მაშინ ეს სიტყვები ფიგურალურ თქმად ჩავთვალე, არადა მისი ფსიქოლოგიური განწყობის გამოხატული ყოფილა. დაახლოებით იგივე თქვა თვითმფრინავის ტრაპთან მიცემული პირველსავე სატელევიზიო ინტერვიუში: ჩემი ძელები აქ უნდა ჩავყარო.

11 ნოემბერს ალექსანდრე სულხანიშვილის ნეშტს მისი მშობლიური სოფლის — აწყურის მიწა მიიბარებს. თავად ინება ასე — აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში, ჩემს და-ძმასთან და ნათესავებთან დამარხებო.

წერე შეიკრა: ალექსანდრე სულხანიშვილი უბრუნდება იმ ადგილს, სადაც თითქმის მთელი საუკუნის წინ მოველინა ქვეყანას. როგორ უნდა იქნებოდა მას ვლადიმერ უნდაოდა მშობლიური სახლების ხილვა. ვეღარ მოასწარო. ბევრი რამ ვეღარ მოასწარო. ვერ მოასწარო, მოველო ის ადგილები, სადაც იბრძოდა, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი; ვერ მოასწარო, საქართველოს მუზეუმშიც ენახა ქაქუცის ოქროს ხმა-ხანჯალი, რომელიც

შარშანწინ გამომატანა სან-ფრანცისკოდან; ვერ მოასწარო, ზუსტად ეთქვა კიდევ ერთი ქართული ხანჯლის ამბავი, რომელიც დღესაც ამერიკაშია; ვერ მოასწარო, ილიას მკვლელობის გარემოებათა დამატებითი კომისიისათვის მიეცა დამატებითი ცნობები ილიას მკვლელობის შესახებ (გარდა იმისა, რომ იგი, როგორც თავის წიგნში წერს, შეესწრო ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ბერბიჭაშვილის დაკითხვას, ბევრი იცოდა შალვა ამირეჯიბისა თუ რეზო გაბაშვილისაგანაც, რომლებიც უკვე ემიგრაციაში იკვლევდნენ ილიას მკვლელობის საქმეს); ვერ მოასწარო, სოსო ჩხაიძის ჯგუფისათვის, რომელიც ფილმს იღებს საქართველოს სამეფო სახელგულზე, მოეთხრო ბევრი საინტერესო რამ ირაკლი ბაგრატიონზე, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა. ალექსანდრე სულხანიშვილმა ვერ მოასწარო, დამტკბარიყო საქართველოში ყოფნით, ვერ მოასწარო, რადგან 66 წლის განშორების შემდეგ, ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებულმა, მან მხოლოდ 18 დღე იცოცხლა. სიკვდილი ხომ მუდამ მოულოდნელად მოდის. მაშინაც, როცა ადამიანი თითქმის 95 წლისაა და უკურნებელი სენი მთელ სხეულშია გაფოთილი.

ალექსანდრე სულხანიშვილი, უპირველეს ყოვლისა, მეტროპოლი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეტროპოლი. წლების განმავლობაში იგი იარაღით ხელში იბრძოდა ამ დამოუკიდებლობისათვის. როდესაც იარაღით ბრძოლა შეუძლებელი გახდა, მან კალამი აიღო ხელში და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გააგრძელა ბრძოლა, მერე თავისი წიგნებიც გამოცა. აქაც ნამდვილი პოლიტიკური მეტროპოლი, შემართული პოლემისტი, პირდაპირი, პრინციპული, დაუნდობელი.

მისი ყველაზე სრული წიგნი — „ჩემი მოგონებები“ — წელს გაგრძელებებით დაიბეჭდა ქურნალ „ცისკარში“. მალე აღზათ მკითხველი გაიცნობს მის სხვა წიგნებსაც: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1924 წელს და ილიას მკვლელობის სინამდვილე“, „ჩემი პასუხი ჟორდა-

ნისცილამაინც რესპუბლიკელებს? არ ვიცე, არ მიკითხვეს. მეგონა მუდამ მოვასწრებდი. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, მას არ ეკენებოდა ისეთი პაციენტური პასუხი, როგორსაც ამ კითხვებზე ჩვეულებრივ იძლევიან ამერიკელები: ამერიკის ისტორიაში ყველა ომი დემოკრატებმა დაიწყეს და რესპუბლიკელებმა დაამთავრესო. არა, რადგან — ძია საშა მეომარი, მეტროპოლი კაცი იყო. ჩანს, მისი სიმბათიები რესპუბლიკელებისადმი სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული.

ასეა თუ ასე, იგი რესპუბლიკელებს უთანაგრძობდა და ამის დასტურია ის დოკუმენტები, რომლებსაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდა და სან-ფრანცისკოდან




*The Ronald Reagan Trust*



On behalf of Ronald Reagan,  
President of the United States,  
and the Republican Party  
we the undersigned,  
the Directors of the Ronald Reagan Trust,  
hereby present this  
Certificate of Charter Membership to

**Alexander Soukhian**


in appreciation of your generous contribution to  
perpetuate the ideals and policies of  
President Ronald Reagan  
and the Republican Party.



SENATOR PAUL LAXALT  
Senior Chairman, Republican Party



FRANK J. FAHRENKOPF, JR.  
Chairman, Republican National Committee

Sincerely,  
  
George Bush

GB/sn  
Enclosures



THE VICE PRESIDENT  
WASHINGTON

November 11, 1981

Mrs. Alexander Soukhian  
145 Terravista Ave  
San Francisco, California 94115

Dear Mr. Soukhian:

I've just had word from Congressman Guy Vander Jagt about your recent contribution to the Congressional Committee, and I wanted to write and thank you right away.

Even when I say "thank you" I know it is inadequate to express how deeply I appreciate your financial sacrifice for our Party.

The most important thing we can do to honor the faith you have placed in our Party is to make sure your contribution is put to the best possible use in our campaign to win control of the House of Representatives next year.

From conversations with Guy, I know the NRCC is already expanding its national program to meet the challenges the Democrats will be making in 1982. Your contribution means even more can be done to help us achieve our goal of electing a Republican House.

Guy promised you a memento of the Inauguration. Because you contributed, Guy asked me to send the enclosed photograph taken during the Inaugural Ceremony.

Again, please accept my thanks for all you are doing to help us elect a Republican Congress that will give President Reagan the full support he deserves.



## ფიზიკური სანახევრის პრეპარატი...

აღრე, როცა ჩვენი ქაბუკ ფეხბურთელთა გუნდები საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო ტურნირებში იღებდნენ მონაწილეობას, ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნდა ყველას. ახლა, სიტუაცია, როგორც მოგვსენებთ, სულ სხვა-ნაირია. მის შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საკავშირო დიქტატისაგან განთავისუფლდა, მისი მესვეურნი ყოველ ღონეს ხმარობენ საერთაშორისო აღიარებისათვის. სამწუხაროდ, ფიზიკური და უფრო მეტად ბიოლოგიური და ციკლიკური, მეტად რეაქციული აპარატი აღმოჩნდა...

რებაში და დაარსებიდან დღემდე ოსური ასოციაცია „რასთინადის“ („სიმართლე“) თავმჯდომარეა...  
— ჩვენი დამეგობრება პოლონელ კოლეგებთან ჯერ კიდევ აგვისტოში მოხდა, — გვიამბობს ბორის დუდაროვი. ჩვენმა საფეხბურთო სკოლამ მთლიანად კრავის „კრაკუსის“ საფეხბურთო კლუბის ქაბუკები (1975-77 წ. დაბადებული) და თითქმის ყველაწიერი პირობა შევქმენით ჩვენს სტუმრებს. კულტურული პროგრამის გარდა გვექონდა შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ასე მაგალითად, პოლონელი ქაბუკები შეხვედრენ საჩხერეში ადგილობრივ „ჩიხურას“ და სხვა. სწორედ აქ ყოფილა დროს გამოთქვეს ჩვენმა პოლონელმა სტუმრებმა მომავალი თანამშრომლობის სურვილი და აი, ოქტომბრის ბოლოსთვის ჩვენც საბასუხო ვიზიტად გავმგზავრეთ.

„ვენდსთან“ — 2:0, „სტრნიკთან“ — 1:1 და „კრაკუსთან“ — 1:2.  
მე ვთვლი, რომ ეს ტურნე ჩვენი ბიჭებისათვის მეტად სასარგებლო იყო. ადგილობრივი პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველების გამოსვლას და არაერთი მათგანი მოიხსენიეს თბილისელებით. ისიც არ უნდა დავავიწყდეს, რომ ქართველ ქაბუკებს თავისზე ერთი წლით უფროსებთან მოუწიათ პაექრობა. ყველაზე დიდი ძოწონება მეკარე დავით ონიანი ვილს, ნახევარმცველ კობა სარჯველაძესა და თავდასხმელ ნუგზარ ორმოცაძეს ხვდათ წილად. როგორც „კრაკუსის ეხი“ აღნიშნავენ, სწორედ ამ ბიჭების თამაშში გამოიხატა ქართული ხასიათი... ისე, მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო, თუ როგორ დასდევდნენ პოლონელი მცველები ნუგზარ ორმოცაძეს და ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ მის ფინტებსა თუ არასტანდარტულ მოძრაობებში. ზემოთ დასახელებული ფეხბურთელების გარდა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: თემურ სილაგაძე, თემურ კობერიძე, ვასო ქსოველი, დათო ალფინძე, ავთანდილ ახვლედიანი, თემურ ქარელი, ზაზა გაბროშვილი, სოსო თოდუა, ბორის დუდაროვი (მწვრთნელის ვაჟი — გ. ტ.), ლერი მათიაშვილი, სოსო პირველი, პაატა ხალაძე და კახა გიორგაძე. დღევანდის წევრი იყო და გუნდის მომზადებაში მუშაობდა აგრეთვე სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ ექიმი ნუკრი ღონიძე. ყველაზე სასიამოვნო ფაქტი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ამ შეხვედრებმა ძალზე დაახლოვა ერთმანეთთან ქართველი და პოლონელი თანატოლები. ჩვენ აქედან უამრავი სუვენირი, ვიშპილი და პატარა ზომის საქართველოს დროშა გვექონდა წაღებულ ფაქტი იყო, რომ სიამოვნებით დასტურდნენ ჩვენი მასპინძლები. ჩვენი ბიჭებისათვის და, ჩემთვისაც პირადად, ძალიან სასიამოვნო იყო, რომ სამივე თამაშზე პოლონელების ერთგული დროშის გვერდზე ამყარდ ფრიადებდა ჩვენი, საქართველოს ერთგული სამეფროვანი დროშაც...

რაც შეეხება კულტურულ პროგრამას, აქ მასპინძლებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. შესანიშნავი სასტუმრო, ბრწყინვალე კვება და საინტერესო ექსკურსიები, რომლებზეც ჩვენზე დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ მათგან ერთ-ერთზე კი ცალკე მინდა ყურადღების გამახვილება. მასპინძლებმა დაგვათავალაქებინეს მსოფლიოში ერთადერთი მარილის საბადოებში გაკეთებული მუზეუმი — „ველიჩკა“, რომელიც მიწისქვეშაა 200 მეტრის სიღრმეზე იყო გაკეთებული. ეს იყო ისეთი სანახაობა, რომლის აღწერაც სიტყვით არ შეიძლება. და, წარმოიდგინეთ, აქვე იყო სპორტული დარბაზი, რომლის კედლები, კერი, — ყველაფერი მარილისაგან იყო გაკეთებული. და ამ უზარმაზარ მარილის სპორტდარბაზში ხანდახან, თურმე, მინი-ფეხბურთელითა შეჭიბვრებაც იმართებოდა...

წამოსვლისას მრავალმა სხვა კლუბებშიც გამოთქვეს სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა და მოვლიდაარაკეთ, რომ წელიწადში ორჯერ მივცე შეხვედრით ერთმანეთს. აგერ, სულ მალე, 14 ნოემბერს ველოდებით დღევანდის პოლონეთიდან, რომ უფრო დაკონკრეტდეს მომავალი შეხვედრის დრო და ადგილი.

დასასრულად, მადლობა გვინდა მოუხადოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და პირადად, ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განყოფილებას გამგის ბატონ ჯუმბერ თანანაშვილს გულსხმიერებისა და თანადგომისათვის ყოველ ნაბიჯზე.  
ჩაიწერა ვიკი ბუხაშვილმა

მოულოდნელად გამოაკლდა მონარქისტულ საქმის ნოდარ მინარქიანი. მისი ვაჟი იყო, გარდასული ბუნება, სიცოცხლითა და ენერჯით აღსავსე ყოველი ქმედება, ერთგულება და პატიოსნება მისი ხანმოკლე ცხოვრების თანამგზავრი იყო. იშვიათია ადამიანურ თვისებათა ასეთი მარმონია.



მსგავსი პიროვნებები ტოვებენ ჩვენს გულში და რომელთაც კაცთმოყვარეობისა და ზნობრივი სიმაღლებისაკენ მიყვარათ.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია

## საქართველოს სსრ სხალხო განათლების სამინისტრო, თბილისის 74-ე პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

მოსწავლეთა მიღება 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. რადიო-ტელევიზორების (შავ-თეთრი და ფერადი) შემკეთებელი მექანიკოსი (ქართული და რუსული სექტორი). ავტომანქანის მართვის უფლებით „3“ კატეგორია. სწავლების ვადა 2 წელია.
2. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროტექნიკური სამუშაოების შემკეთებელი ზენიტალ-ელექტრონიკის (ქართული და რუსული სექტორი), (ავტომანქანის მართვის უფლებით, „3“ კატეგორია). სწავლების ვადა 1 წელია.
3. შეკეთების მიმღებ-მოლოდინე კომპლექსური მიმღები პუნქტებისათვის (ქართული და რუსული სექტორი) სწავლების ვადა 1 წელია.
4. მეკარე (ქართული და რუსული სექტორი). სწავლების ვადა 1 წელია.
5. მეკარე-გამომკრელი (ქართული და რუსული სექტორი). (მამაკაცისა და ქალის ერთგული ტანსაცმლის კრება). სწავლების ვადა 2 წელია.
6. მსუბუქი ავტომანქანის შემკეთებელი (ზენიტალი, მეთუნე, შემოღობილი, მღებავი, ელექტრონიკის) (ქართული და რუსული სექტორი). სწავლების ვადა 1 წელია.
7. სატვირთო ავტომანქანის შემკეთებელი ზენიტალი (ავტომანქანის მართვის უფლებით). სწავლების ვადა 1 წელია.
8. ელექტრო და აირშემდღებელი (ქართული და რუსული სექტორი). სწავლების ვადა 1 წელია. (ზემოთ ჩამოთვლილ დანარჩენ სპეციალობებზე სამუშაო ანგარიშით შეისწავლება ავტომანქანის მართვის პროფესია, „3“ კატეგორია).

წესით და საწარმოო სწავლების დროს გამოუმუშავებელი თანხის 50 პროცენტი. ფრიადოსნებს სტიპენდია მიეცემათ 25 პროცენტის დანამატით.

წარჩინებით კურსდამთავრებულთა უმაღლესი სასწავლებელში შესვლისას პროფესიის მიხედვით სარგებლობენ იმავე უპრობლემო სასწავლო სკოლის ოქროს მედალოსნება. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ პროფესიულ სწავლებლად. სწავლება დაიწყო 1 ნოემბერს, განცხადებების მიღება გაგრძელდება 30 ნოემბრამდე.

1. განცხადება, 2. ატესტატი (დელანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. დაბადების მოწმობა (დელანი), 5. ცნობა წარმართლობის შესახებ, 6. დასახიათება, 7. ავტობიოგრაფია, 8. ფოტოსურათი 4 ცალი (ზომით 3X4-ზე), 9. შრომის წიგნაკი, 10. მომართვა სპეციალობების შესახებ.
- პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარმოადგენს პირადად.  
სასწავლებლის მიმსამართია: თბილისი 68, სამგორის რაიონი, ქიქნაძის ქ. № 10.  
ავტობუსები: № 10 მეტრო სამგორიდან, № 16, 212 კოლმეურნების მოედნიდან, სამარშრუტო ტაქსი № 5 სამგორიდან.  
ტელეფონები: 71-32-35, 71-21-20, 71-15-66.

### ვიჭავის სატარებნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ნეკს“, რომელიც მიგივლებთ უოველდე დახვეწების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიჭების თარგმნა ხდება ერთდღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 8.

სხვათა შორის, როდესაც ქაბუკი ფეხბურთელები პოლონეთში დაბრუნდნენ, იქაურ გაზეთებში გამოაქვეყნეს, რომ სოჭში რუსებმა (კერძოდ, სადგურის უფროსმა) აგვისხნეს, საქართველოში არ წახვიდნენ, თქვენ იქ თამაშის უფლება არა გაქვთ, რადგან იქაური ფედერაცია საკავშიროს გამოეყო... აი, კიევში კი სრულიად საბირისპირო რამ მოხდა. ჩვენ, პოლონეთში მიმავლნი, გზად კიევში გვეჩერდით და ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ მაღაზიაში შევედით. მაღაზიაში ყველა სპორტული ნაწარმი მკაცრი საბარათო სისტემით იყიდებოდა, მაგრამ რომ გაიგეს ქართველი ფეხბურთელები იყვნენ, ისეთი გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინეს, რომ მწელია სიტყვებით გადმოგვეთ. ჩვენც ისე დაგვჩვენოდა, რომ მაღაზიის სიტყვები ჩავვეწვინა წინადადებების წიგნში და დღევანდის თითოეულმა წევრმა პირადი ხელმოწერით დაადასტურა თავისი დამოკიდებულება. მაღაზიის დირექტორს ისე ესიამოვნა ყოველივე, რომ შეგვიბრდა — ამ ხელმოწერიან ქალაქის უკრაინის ერთ-ერთ არაფორმალურ გაზეთში დაბეჭდავდა.

პოლონეთში ჩვენმა ქაბუკებმა სულ სამი შეხვედრა ჩატარეს —

### უკრადლეა!

გაზეთი „ახალგაზრდა იმპრიული“ და საბავლიანო პროგრამა „ილუსიონის რეალური“ მემბრებისათვის შემოქმედებული ვიუპავით ბელაფონზე: 87-58-25; მისამართი: ბუდაკაშვილის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო

### საბავლიანო კვრიული

Обществено - политическа  
младешка газета  
«Алалгазда Истерии»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-58;  
წერალების განყოფილება — 98-90-29.

საქართველოს კ. ც. ა. ს. ხ. ხ. 389098, თბილისი-98, მ. კობახიძის ქ. № 14, აბეგდება  
ოქტომბრი წესით სავსეთი კორპუსი, სოფლის № 29  
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

გაზეთი გაზეთის კვირის საგზარი  
საბავლიანო, სოფლის, უბანის  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-  
რებს უნდა არ უბრუნდებთ.

რედაქტორი  
ვიკი ბუხაშვილი

რედაქციის მისამართი  
მ. თბილისი — 380096.  
მ. კობახიძის ქ. № 14.